

# საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სამეცნიერო პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესი

## 1. ზოგადი დებულებანი

„საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სამეცნიერო ნაშრომებში პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესი“ შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანების, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N133 ბრძანების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერების დეპარტამენტის დებულების საფუძველზე.

## 2. ტერმინთა განმარტებები

პლაგიატი - მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში სხვისი შემოქმედების, სხვისი იდეებისა და გამოგონებების გააზრებული მითვისება, თავის ნაშრომში სხვისი ნაშრომის გამოყენება ავტორის დაუსახელებლად, ავტორობის მითვისება, პლაგიატია, როდესაც ხდება ინტელექტუალური შრომის შედეგების არამართლზომიერი გამოყენებასა და პუბლიკაციის ავტორობის მითვისება.

პროგრამის ადმინისტრატორი - უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემების გამართვას, მხარდაჭერას, ადმინისტრირებას და მის ოპტიმალურ და უსაფრთხო ფუნქციონირებას. მის ამოცანებში შედის სისტემების ადმინისტრირება და მხარდაჭერა, მასთან დაკავშირებული კომპიუტერული ინფრასტრუქტურის გარემოს ჩათვლით.

პროგრამის ოპერატორი - პროგრამის ოპერატორის მოვალეობებში შედის: მონაცემთა ბაზის შეყვანა, ინფორმაციის დამუშავება, ელ-ფოსტის გზავნილები, კლიენტის აპლიკაციები, კორესპონდენცია, ინვოისები, ინვოისები და სხვა დოკუმენტების შემოწმება გადაყვანა ელექტრულ ვერსიაში. დოკუმენტაციის არქივირება, ანგარიშების, სტატისტიკის შედგენა და მიწოდება დაინტრესებული პირებისათვის.

### 3. პროგრამა „Strikeplagiarism“-ის გამოყენების პრინციპები/მეთოდოლოგია

წარმოდგენილი წესი ადგენს ტექნიკურ უნივერსიტეტში (შემდეგში - უნივერსიტეტი) პროგრამა „Strikeplagiarism“-ის გამოყენების ნორმებს და განსაზღვრავს აღნიშნულ პროცესში უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტთა უფლება-მოვალეობებს.

ინტერნეტრესურსების ფართო გამოყენების ფონზე ძალზე გაფართოვდა სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომთან ხელმისაწვდომობა, რამაც, დადებითი შედეგების გარდა, გამოავლინა სხვისი ინტელექტუალური საკუთრების, იდეებისა და გამოგონებების გააზრებული მითვისების ფაქტები. აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით უნივერსიტეტში გამოიყენება პროგრამა „Strikeplagiarism“, რაც იძლევა შესამოწმებელი ნაშრომის ინტერნეტრესურსებში არსებულ საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზებთან შედარებისა და მითვისებული, ავტორის დაუსახელებლად გამოყენებული ფრაზების გამოვლენის საშუალებას.

პროგრამა „Strikeplagiarism“-ი ხასიათდება: პროგრამის მოხმარების სიმარტივით; სისტემის დაცულობით; შემოწმების მაღალი სიზუსტით. პროგრამის მენიუ მორგებულია ქართულ, ინგლისურ, რუსულ და სხვა ენებზე, PDF თუ Microsoft Word ფორმატებში დაწერილი ნაშრომების შემოწმების შესაძლებლობით.

ქართულ ენაზე დაწერილი შესამოწმებელი ნაშრომის მიმართ აუცილებელი მოთხოვნაა „Sylfaen“ შრიფტის გამოყენება.

1. უნივერსიტეტში პროგრამა „Strikeplagiarism“-ი გამოყენება გათვალისწინებულია დაცული/დასაცავი დისერტაციებისთვის, უნივერსიტეტის ეგიდით გამომავალი როგორც სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული/გამოსაქვეყნებლად მომზადებული სამეცნიერო სტატიებისთვის, ასევე უნივერსიტეტის ეგიდით გამომავალი გამოქვეყნებული თუ გამოსაქვეყნებლად მომზადებული სახელმძღვანელოებსა და მონოგრაფიებისათვის.

2. პირმა ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული შესამოწმებელი ნაშრომის: სტატიების, დისერტაციების, მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების სტამბურად დაბეჭდვისთვის საჭიროა სამეცნიერო ჟურნალის რედკოლეგიას, ხოლო სტუდენტმა სადისერტაციო საბჭოში დისერტაციის დაცვამდე უნდა წარადგინოს ცნობა იმის შესახებ, რომ ნაშრომმა გაიარა შემოწმება პლაგიატზე. ამ მიზნით მან განცხადებით (დანართი 3) უნდა მიმართოს ფაკულტეტებზე შესაბამის უფლებამოსილ პირებს პროგრამის ოპერატორებს.

3. ფაკულტეტებზე შესამოწმებელი ნაშრომის ერთხელ პლაგიატზე პროგრამით შემოწმება არის უფასო.

4. იმ შემთხვევაში თუ შესამოწმებელი ნაშრომის ავტორი მოინდომებს წინასწარ შემოწმებას მომსახურება ფასიანია.(იხ.თავი 6.2)

5. პლაგიატის არსებობაზე ერთი გვერდის შემოწმების ღირებულებაა - 50 თეთრი.

6. პლაგიატის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია უნდა განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

7. პროგრამა „Strikeplagiarism“-ი წარმოადგენს Plagiat.pl-ის ინტელექტუალურ საკუთრებას და მისი გავრცელება მფლობელის წერილობითი თანხმობის გარეშე აკრძალულია.

#### **4. პროგრამის სტრუქტურა**

1. პროგრამის წარმატებულად ოპერირებას ახორციელებს ორი დონის სამენეჯერო სამსახური: პროგრამის მთავარი ადმინისტრატორი (იხ. თავი5) და პროგრამის ოპერატორები. უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების (ფაკულტეტი, სკოლა) და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების (ინსტიტუტი, ცენტრი) ადმინისტრირებას ახორციელებს ოპერატორი, რომლის ფუნქციებია: წარმოდგენილი შესამოწმებელი ნაშრომის შემოწმება და შესაბამისი ცნობის გაცემა, ხოლო შემდგომ შემოწმებული ნაშრომის, მისი თანამდევი დოკუმენტაციის გადაგზავნა პროგრამის მთავარ ადმინისტრატორთან ელექტრონულად.

3. ყოველ ნაშრომზე, რომელიც გატარდება პროგრამაში, უნდა გაიცეს დამადასტურებელი დოკუმენტი ადმინისტრატორის ან ოპერატორის ხელმოწერით, რომელიც გადაეცემა შესაბამის სტრუქტურებს დანიშნულების მიხედვით სადისერტაციო საბჭოს, ფაკულტეტის დარგობრივ კომისიას, სამეცნიერო ჟურნალის რედაქციასა და უნივერსიტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს. აღნიშნული სტრუქტურები პასუხისმგებელნი არიან ქმედებებზე, ნაშრომის შემოწმების შედეგად პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში.

#### **5. პროგრამა „Strikeplagiarism“ ადმინისტრატორი**

1. ადმინისტრატორი პასუხისმგებელია სისტემის გამართულად ფუნქციონირებაზე საუნივერსიტეტო მასშტაბით. მის ფუნქციებში ასევე შედის უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებისა (ფაკულტეტი, სკოლა) და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებიდან შემოსული ნაშრომების შედარებითი ანალიზის შედეგების გადამოწმება, სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და სისტემის მუშაობისას წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. გარდა

აღნიშნულისა, ადმინისტრატორს ევალება შეამოწმოს ავტორების მიერ საკუთარი ინციატივის საფუძველზე შესამოწმებლად შემოსული ნაშრომები და გასცეს შესაბამისი დოკუმენტი ხელმოწერით. სისტემის ფუნქციონირების კონტროლის მიზნით ადმინისტრატორი უყფლებამოსილია ხელმეორედ შეამოწმოს სამეცნიერო ერთეულებიდან შემოსულ საეჭვო ან სადავო ნაშრომები.

2. ადმინისტრატორი არის საკონტაქტო პირი უნივერსიტეტსა და Plagiat.pl კომპანიას შორის, ანტიპლაგიატური სისტემის ფუნქციონირების ყველა ტექნიკურ საკითხში.

## 6. პროგრამა „Strikeplagiarism“ ოპერატორი

1. უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულისა (ფაკულტეტი, სკოლა) და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ხელმძღვანელის მიერ განისაზღვრება პირი (შემდგომში - „პროგრამის ოპერატორი“), რომელიც გაივლის პროგრამა „strikeplagiarism“-ის მართვის ტრენინგს.

2. ოპერატორი იღებს სტუდენტებისა და მეცნიერების შესამოწმებელ ნაშრომებს (დისერტაციები, სტატიები, მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები), ატვირთავს პროგრამის ბაზაში და ამოწმებს მათ. იგი ვალდებულია შემოწმებული ნაშრომები და ასევე თანდართული შეფასების ცნობები, ყოველთვიური ანგარიში, სტატისტიკა, გადააგზავნოს პროგრამის ადმინისტრატორის მიერ მითითებულ ელექტრონულ მისამართზე.

3. იმ შემთხვევაში, თუ ნაშრომი არასწორადაა ატვირთული სისტემაში, ოპერატორი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს სისტემის ადმინისტრატორს, რომელიც შეცდომას დააფიქსირებს სათავო „Plagiat.pl“ ოფისში და მათი დახმარებით ნაშრომი ამოიშლება სისტემიდან.

## 7. სამეცნიერო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების პროცედურა

1. სამეცნიერო ნაშრომის ბეჭდური და ელექტრონული ვერსიები უნდა იყოს იდენტური. ნაშრომის ბეჭდური და ელექტრონული ვერსიების შედარება ხორციელდება ოპერატორის მიერ. ოპერატორი განათავსებს შემოწმებისთვის წარმოდგენილ ნაშრომს პროგრამა „Strikeplagiarism“-ში ინტერნეტსაიტზე Strikeplagiarism.Com. შესამოწმებელი ნაშრომის მიღებისა და და თანდართული შეფასების ცნობები გაიცემა ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში, დამატებული პროგრამის მიერ შესამოწმებლად განათავსებული ნაშრომის პლაგიატზე შედარებითვის დახარჯული დროისა.

2. ბექდური და ელექტრონული ვერსიების შეუსაბამობის შემთხვევაში ავტორს ეძლევა 2 (ორი) სამუშაო დღე შესაწორებლად და შესწორებული ვერსიის წარსადგენად. ნაშრომის წარდგენა არ უნდა გადააცილოს 5 (ხუთი) სამუშაო დღეს. თუ ავტორმა ვერ მოასწრო ნაშრომის წარდგენა ამ ვადის ამოწურვამდე, მისი ნაშრომი გამოქვეყნებისთვის ან დაცვისთვის შემდეგ ეტაპებზე არ დაიშვება.

3. წარდგენილი სამუშაოს სხვა ნაშრომთან ან სხვა ნაშრომებთან მსგავსების შესახებ ანგარიში უნდა მომზადდეს ოპერატორის მიერ ცნობის სახით, სადაც თანდართულ საბაზო დოკუმენტს უნდა დაერთვას. იგი წარმოადგენს Strikeplagiarism.Com -ის საიტზე გამოტანილი მიღებული შედეგის ამონაბეჭდს.

4. ნაშრომი, სახელმძღვანელოების გარდა, ფასდება დადებითად თუ:

- ა) შესამოწმებელი ნაშრომის ტექსტის სხვა ნაშრომების ტექსტებთან მსგავსების კოეფიციენტი არ აღემატება 50%-ს (5 სიტყვიანი წინადადებაში);
- ბ) შესამოწმებელი ნაშრომის ტექსტის სხვა ნაშრომების ტექსტებთან მსგავსების კოეფიციენტი არ აღემატება 5%-ს (25 სიტყვიანი წინადადებაში).

5. სახელმძღვანელო ფასდება დადებითად თუ:

- ა) შესამოწმებელი ნაშრომის ტექსტის სხვა ნაშრომების ტექსტებთან მსგავსების კოეფიციენტი არ აღემატება 65%-ს (5 სიტყვიანი წინადადებაში);
- ბ) შესამოწმებელი ნაშრომის ტექსტის სხვა ნაშრომების ტექსტებთან მსგავსების კოეფიციენტი არ აღემატება 10%-ს (25 სიტყვიანი წინადადებაში).

5. იმ შემთხვევაში თუ ვერ დადგინდა ნაშრომის ტექსტის, იდეის მითვისების, კოპირების ალბათობა, აღნიშნულ ნაშრომზე უნდა დაწესდეს სპეციალური კონტროლი.

6. იმის გამო, რომ სადოქტორო დისერტაციების წარდგინება წარმოებს წინასწარ შემუშავებული წესების მიხედვით, სადაც ნაშრომის პირველი სამი გვერდი ფორმდება ერთნაირად, პლაგიატის არსებობის დასადგენად დისერტანტმა უმჯობესია ნაშრომი წარმოადგინოს სამ განცალკევებულ ფაილად. პირველ ფაილში ჩაწერილი უნდა იყოს სატიტულე გვერდები (სამი გვერდი), მეორე ფაილში იქნება დისერტაციის ძირითადი ნაწილი და მესამე ფაილი უნდა შეიცავდეს ლიტერატურული წყაროების ჩამონათვალს. ნათქვამიდან გამომდინარე, პლაგიატის არსებობის რეალური სურათის მისაღებად მოხდება მხოლოდ დისერტაციის ძირითადი ნაწილის Strikeplagiarism.Com პროგრამაზე შემოწმება (მეორე ფაილი).

7. ნაშრომის მიღებიდან 5 სამუშაო დღისა და პროგრამის მიერ შემოწმებაზე დახარჯული დროის შემდეგ, ოპერატორი ამზადებს ნაშრომის „ორგინალობის შემოწმების ოქმს“ (დანართი 1)

8. იმ შემთხვევაში თუ ნაშრომში აშკარად იკვეთება პლაგიატის ნიშნები, კოპირებულია სრულად ციტატები სხვა წყაროდან, მაშინ ეს დოკუმენტი არ ჩაითვლება ორიგინალური და შესაბამისად, სადისერტაციო საბჭოს, ფაკულტეტის დარგობრივი კომისიის, სამეცნიერო ჟურნალის რედკოლეგიის ან სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარემ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

ა) სადისერტაციო ნაშრომი არ შეიცავს ტექსტის დიდ ფრაგმენტებს, იდენტიფიცირებულს სისტემის მიერ როგორც მსგავსს;

ბ) ადგილი არ აქვს სიტყვების გადამეტებას ერთი წყაროდან;

გ) არ არის დეტალური მსგავსება შემოწმებულ ნაშრომსა და სხვა ბაზაში არსებულ ნაშრომს შორის.

9. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სადისერტაციო საბჭოს, ფაკულტეტის დარგობრივ კომისიის, სამეცნიერო ჟურნალის რედკოლეგიის ან სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარე ამზადებს ამ წესის #2 დანართით განსაზღვრულ დასკვნას.

10. თუ ნაშრომი არ შეიცავს პლაგიატს, მაგრამ ციტატების მსგავსება სხვა ტექსტებთან აღემატება 50%-ს, მაშინ ეს ნაშრომი არ დაიშვება დაცვაზე და არ შევა სისტემის საინფორმაციო ბაზაში. ავტორმა უნდა მოახდინოს ნაშრომის კორექტირება ანტიპლაგიატის სისტემის ყველა პროცედურის შესაბამისად. ამისათვის მას ეძლევა 5 სამუშაო დღე.

## **8. სამეცნიერო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების პროცედურის თანამიმდევრობის კალენდარული განაწილება**

1 სამუშაო დღე - ნაშრომის შემოწმება ფაკულტეტის/ინსტიტუტის ანტიპლაგიატის პროგრამის ოპერატორის მიერ, ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსიების შედარება, ავტორის ინფორმირება თუ არის შეუსაბამობა დოკუმენტის ნაბეჭდ და ელექტრონულ ვერსიებს შორის;

1 სამუშაო დღე - პროგრამის ოპერატორის მიერ დოკუმენტის ატვირთვა;

2 სამუშაო დღე - დოკუმენტის კორექტირება (თუ ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსიები არ ემთხვევა);

2 სამუშაო დღე - ჩატვირთვა და განმეორებითი შემოწმება (თუ ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსიები არ ემთხვევა)

5 სამუშაო დღე - განხილვა და გადაწყვეტილების მიღება ადრე მიღებული უარყოფითი ანგარიშების საფუძველზე;

2 სამუშაო დღე - შემოწმების შედეგების ანგარიშის მომზადება და გადაგზავნა ავტორთან, პროგრამის ადმინისტრატორთან.

უნივერსიტეტი საშუალებას იძლევა სამუშაო ჩატარდეს შემოწმება მაქსიმუმ სამჯერ.

## 9. აპელაცია

1. გადაწყვეტილებაზე უთანხმოების შემთხვევაში, სამეცნიერო ხელმძღვანელს და დისერტანტს, სტატიის ავტორს შედეგის გამოქვეყნებიდან ორი სამუშაო დღის განმავლობაში უფლება ეძლევა ფაკულტეტის დეკანს ან ინსტიტუტის დირექტორს მიმართოს აპელაციით.

2. დეკანი ან ინსტიტუტის დირექტორი ღებულობს საბოლოო გადაწყვეტილებას 10 სამუშაო დღის განმავლობაში, აპელაციით მიმართვის დღიდან.

3. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში ფაკულტეტი ან ინსტიტუტი ნაშრომის წარმდგენის მიმართ იღებს დისციპლინარულ ზომებს, რომლებიც გატარდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ადგილობრივი კანონმდებლობის და უნივერსიტეტის შიგა პროცედურების შესაბამისად.

4. აპელაციის განხილვა შეიძლება მხოლოდ ერთხელ.

## 10. მესამე პირი

პირს, რომელიც არ არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო/სამეცნიერო პროცესის მონაწილე (მესამე პირი) და სურს ნაშრომის შემოწმება პლაგიატზე, ვალდებულია გადაიხადოს საფასური **ამ წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად**, რის შემდეგაც მისი ნაშრომი აიტვირთება, შემოწმდება და შეინახება პროგრამა „Strikeplagiarism“-ის მონაცემთა ბაზაში და გაიცემა დამადასტურებელი ცნობა სისტემის ადმინისტრატორის ხელმოწერით.

ნაშრომის ორიგინალობის შემოწმების ოქმი

ავტორი: .....

სპეციალობა: .....

სამეცნიერო ხელმძღვანელი: .....

ფაკულტეტი/ინსტიტუტი: .....

სამეცნიერო ნაშრომის ტიპი: .....

- დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი/წარსადგენი სადისერტაციო ნაშრომი.
- სტატია
- მონოგრაფია
- სხვა

პლაგიატზე ნაშრომის მსგავსების კოეფიციენტის ანგარიშის შეფასებამ აჩვენა, რომ

- ნაშრომი არ შეიცავს პლაგიატს
- ნაშრომი შეიძლება შეიცავდეს პლაგიატს

პროგრამის ოპერატორის/ადმინისტრატორის კომენტარი გამოვლენილი ნასესხებების შესახებ



.....

.....

.....

.....

.....

თარიღი

ხელმოწერა

**დანართი 2**

**სადისერტაციო საბჭოს/ფაკულტეტის დარგობრივი კომისიის/სამეცნიერო ჟურნალის რედკოლეგიის/სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარის**

**დასკვნა ნაშრომის შესახებ**

**ვამტკიცებ(თ) Strikeplagiarism.com ინტერნეტსისტემის მიერ პლაგიატზე ანგარიშის შედეგთან გაცნობას**

**ვამტკიცებთ .....**

ავტორი .....

სპეციალობა .....

შემოწმების შემდეგ გაკეთდა დასკვნა:

- ნაშრომში გამოვლენილი მსგავსება უმნიშვნელოა და არ შეიცავს პლაგიატს. ამრიგად, ნაშრომი დამოუკიდებელია და მიიღება დაცვაზე.
- წარმოდგენილი ნაშრომის ტექსტების მსგავსება სხვა ნაშრომებთან არ შეიცავს პლაგიატს, მაგრამ ნაპოვნი ციტატების რაოდენობა აღემატება ნაშრომის მოცულობის 50%-ს. ამრიგად, საჭიროა წარმოდგენილი ნაშრომის კორექტირება.
- გამოვლენილია იდეებისა და გამოგონებების გააზრებული მითვისება, ტექსტების მსგავსება, არღვევს მესამე პირთა საავტორო უფლებებს საავტორო

უფლებების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად ამრიგად ეს ჩათვლილია პლაგიატად და არ დაიშვება შემდგომ დაცვაზე.

- სამეცნიერო ნაშრომი შეიცავს ტექსტურ დამახინჯებებს, როგორც მსგავსების დაფარვის სავარაუდო მცდელობას. ამრიგად, ნაშრომი არ დაიშვება გამოსაქვეყნებლად.

- დადასტურება:

.....  
.....  
.....

.....

თარიღი

.....

თავმჯდომარის ხელმოწერა

დანართი 3

### განცხადება

#### სამეცნიერო ნაშრომის ავტორი

სამეცნიერო ნაშრომის ავტორის/ავტორების სახელი და გვარი, სამუშაო ადგილი, წოდება, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონი.

.....  
.....

ვადასტურებ, რომ სამეცნიერო ნაშრომი .....

1) მომზადებულია ჩემს მიერ და იგი:

ა) არ არღვევს მესამე პირთა საავტორო უფლებებს საავტორო უფლებების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად.

ბ) სრულად და ნაწილობრივ არ არის გამოყენებული მონოგრაფიები ჩემს ან სხვა ნებისმიერი პირის მიერ სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

გარდა ამისა, ვაცხადებ, რომ ჩემს მიერ შესამოწმებლად წარმოდგენილი ნაშრომის ელექტრონული და ნაბეჭდი ვერსიები ემთხვევა ერთმანეთს.

.....  
თარიღი

.....  
ხელმოწერა